

ახალი თაობა

akhalitaoba.ge


დაპირისპირება
თელავის საკრებულოში



გვ.2

22 მარტიდან

180 ამბავი



ილია ჭავჭავაძე

ფასი გაზოტთან ერთად
8 ლარი

შაბათი – კვირა, 24 – 25 მარტი, 2018

№70 (7615)

ფასი: 50 თეთრი

„შეიძლება მე გაზოტთან ერთად და საჯდომი გამართიანებინა, ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავი“



გვ.5 ჯონდი ბალათურია: „სააკაშვილი ანგელოზი ყოფილა ამათთან შედარებით“



„სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობა „ოცნებისთვის“ მიუღებელი იქნება“

გვ.2

ვახტანგ ძაბირაძე: „კვირიკაშვილმა გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა“

საინჟინრო სამართალი — უკრეცადენტო პროექტი კოსტსაბჭოთა სივრცეში



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ახალი ტიპის მენეჯერების გაზრდას იწყებს

გვ.4

„ჩემთვის ყურის ანავას პერავინ გაბედავს“

სოსო ჯაჭვლიანი: „იან კელის გონება სვანებმა გავეუნათეთ“



გვ.3

აკომოიკა

გვ.6

იკოთაყურ სენსიტივუ შესაქმლთა საკრეცადენტო განაკვეთები შემსერილან



„საპენსიო სისტემა, რომელსაც მთავრობა გვთავაზობს, 350 ათას ადამიანს უპენსიოდ ტოვებს“



ივანიშვილის დედაშვილმა, უჩა მამასაშვილმა, „თანაინვესტირების ფონდის“ მმართველი კომპანია „ჯი სი უი პარტნიორები“ დატოვა



2 სასაქმრო „ლო ბრანდში“ ხანძრის გამო თურქეთის და საქართველოს 2 მოქალაქე დააკავეს — ფ.ი. და გ.გ.

7 ევროკავშირმა რუსეთიდან ელჩი გამოიხეშა

4 გინა გვაზაძე: „რუსეთი რთული ქვეყანაა, მებრამ მასთან ლაპარაკი მაინც სჭირდა“

7 როგორ შეიძლება აშშ-ის საგარეო პოლიტიკა?



„სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობა „ოცნებისთვის“ მიუღებელი იქნება“

ნათია ხურცილაძე

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ეხილნარა პოლიტიკურ პროცესებსა და საპროცესო საკითხებს.



სალომე ზურაბიშვილზე არ გააკეთებენ არჩევანს. კი ბატონო, ხელისუფლებისთვის სალომე ზურაბიშვილი დეპუტატი მისაღებია, მაგრამ, პრეზიდენტი რამდენად არის მისაღები, ვერ გეტყვით. მე მაინც მგონია, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი „ქართული ოცნებისთვის“ უფრო შინაური, თავიანთი გუნდიდან იქნება. ასაკაც ექნება გარკვეული მნიშვნელობა. მმართველი პარტია მაინც ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული და არა მგონია, პრეზიდენტთან თქვენობით საუბარი კომფორტული იყოს მათთვის. პრეზიდენტი „მათიანი“ უნდა იყოს, თანაც პოლიტიკური გამოცდილებაც მათზე დიდი არ უნდა ჰქონდეს. ეს კრიტერიუმები იქნება ნამყარნი.

ლი პოლიტიკური პერიოდი გადააგორა?

— ვერჯერობით კვირიკაშვილს დიდი პოლიტიკური პრობლემები არ აქვს. ეს უფრო გარკვეული ჯგუფებისა და ოპოზიციის მიერ შექმნილი კრიზისია. რეალური პოლიტიკური კრიზისი კვირიკაშვილს არ აქვს. ოპოზიციას ხელს აძლევს, თუ მისი ყიფინის საფუძველზე კვირიკაშვილი გადადგება და ამით ამომრჩეველთან ქულებს ჩაინერენ. ამიტომ ამ ეტაპზე კვირიკაშვილის გადადგომა „ქართული ოცნებისთვის“ მომგებიანი არ იქნება.

— რუსეთთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები გადააგორა კვირიკაშვილმა? ცოტა უხერხულია ამის თქმა, მაგრამ ტაქტუნაშვილის ცხედრის დაბრუნებით ერთგვარი პოლიტიკური სტაბილიზაცია მოიპოვა?

ვახტანგ ძაბირაძე: „კვირიკაშვილმა გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა“



რეალობა არ შეუცვლია. ჯობდა, უკეთესი ტექსტი ყოფილიყო, უფრო ნათელი და დახვეწილი, მით უფრო, როდესაც რუსეთის მიმართაც, ორაზროვანი ნაკითხების საფუძველი საერთოდ არ უნდა იყოს, მაგრამ, მიუხედავად, სხვა ნებისმიერი ხელისუფლება რომ ყოფილიყო, სხვა პრემიერი რომ ყოფილიყო, რას გააკეთებდა? ამ მიმართაც ვერაფერი ვთქვით. ოპოზიციამ მისცა სწორედ ამ მიმართაც ასეთი დატვირთვა. ქართულ-რუსული ურთიერთობები ერთი მიმართითა და ერთი წერილით ვერ შეიცვლება. თუ ოპოზიციას აქვს ინფორმაცია, რომ კულუარებში რაღაც სხვა ხდება, მაშინ უნდა გამოვიდეს და ღიად, დასაბუთებულად გვითხრას. მაშინ სხვა საკითხია, თორემ ერთი მიმართის საფუძველზე იმის თქმა და დასკვნის გაკეთება, რომ ქვეყნის საგარეო ორიენტაციები და ვექტორი იცვლება, ყოვლად წარმოუდგენელია.

კიდევ ერთი, ხომ ყოველგვარ ლოგიკას არის მოკლებული ოპოზიციის რიტორიკა: ერთი მხრივ, გვეუბნებიან, რომ პრემიერი ქვეყნის საგარეო კურსს ცვლის და, მეორე მხრივ, საპარლამენტო უმრავლესობა იღებს ისეთ რეზოლუციას, რომელზეც ვერაფერს იტყვის, რომ კურსის ცვლილება ჩანს.

— რეალურად რა მოხდა?

— როგორც რუსეთმა, ჩვენმა ოპოზიციამაც ზუსტად ისეთივე პოლიტიკური ხრიკი იხმარა, რომელიც ყველაზე მეტად დაარტყამდა პრემიერს, ყველაზე სენსიტიური თემა გამოიყენა სათავისო პიარისთვის. მიუხედავად, ვინ, რომელი მთავრობა ან რომელი პრემიერი შეძლებდა ამ ვითარებაში მეთის მიღწევას? თუმცა, ალბათ მაინც ბევრი რამე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ განვითარდება მასამდე პროცესები.

თუ პრობლემები უფრო ხელშეწყობის გზაზე და კიდევ გარკვეული პრობლემური ფაქტორები დაემატება, შემდეგ უკვე სამთავრობო ცვლილებები გარდაუვალი იქნება. ახალი პრემიერი დასახელდება, რომელიც ალბათ თავის გუნდს მოიყვანს.

შორენა მარსაგიშვილი

საკრებულოებში დანაშაულები ცემ-ტყევის ესტაფეტა 23 მარტს თელავში გადაიბარა. არეულობა აქ ნაციონალისტების წყალობით მოხდა.



საკრებულოს დეპუტატი გიორგი ბოტკოველი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე სოფ-

დაპირისპირება თელავის საკრებულოში

გიორგი ბოტკოველის განაცხადებით, რუსიპირის შემდეგ, საძოვრების გაყვანა სოფელ იყალთოშიც იგეგმება.

ნაცმოდრობის ერთ-ერთი ლიდერი ამტკიცებს, რომ იყალთოს და-

ვის პარლამენტში სამხარული თელავის მაჟორიტარი დეპუტატი იყო.

— რატომ გაუყვით რუსიპირელებს მინა და რატომ უყვით იყალთოელებს? ხალხს მხოლოდ საძოვარი დარჩა, რომ ძროხა გაიყვანოს და ახალგაზრდა. თქვენ ამასაც უყვით. ამის უკან დგას შენი სიძე, კონკრეტულ ბიზნესმენთან ერთად, რომელიც „ქართული ოცნების“ შემომხრეველია. ეს იციან იყალთოელებმაც და რუსიპირელებმაც. პირობას გაძლევთ, რომ რუსიპირის მინას უკან დააბრუნებთ და იყალთოს მინას არ გაგაყვით, — აღნიშნა გიორგი ბოტკოველმა.

თელავის საკრებულოს თავმჯდომარე ამბობს, რომ ნაციონალმა ბოტკოველმა მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანა და საკრებულოში მოტყუებით მიიყვანა.

ამის გამო საკრებულომ მოქალაქეების მოთხოვნა სხდომის დღის წესრიგის შეცვლის თაობაზე არ დააკმაყოფილა.

თსლაშაძის თქმით, ბოტკოველის საკრებულოში მისვლის მიზანი სხდომის ჩაშლა იყო.

— გიორგი ბოტკოველი იმისთვის მოვიდა, რომ არ მოგვეცეს საშუალება, სხდომა ნორმალურ რეჟიმში

ჩატარდეს. შევთავაზეთ, მათ მიერ მოთხოვნილი საკითხის განხილვა მომხდარიყო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შემდეგ. ამის მოსმენაც არ უნდა. მოსულა სხდომის ჩასაშლელად და დემოშის მოსაწყობად. ის მინები აბსოლუტურად კანონის დაცვით არის გასხვისებული. გიორგი ბოტკოველი სიტყვის ტირაჟირებას ახდენს, — განაცხადა არჩილ თსლაშაძემ „რეგინფოსთან“ საუბარში.

თელავის საკრებულოში ჩხუბი სიტყვიერი დაპირისპირებით დაიწყო. რაც მალევე გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში. ერთმანეთს ნაციონალური მოძრაობის დეპუტატი ბადურ რვეზიშვილი და მოქალაქე გიორგი მოსიაშვილი დაუპირისპირდნენ. ვითარების განსამუხტად საპატრულო პოლიციის ჩართვა გახდა საჭირო. სამართალდამცველებმა მოსახლეობას საკრებულოს სხდომა დაატოვებინეს.

ამ ინციდენტამდე ერთი დღით ადრე სისხლიან დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი ზუგდიდის საკრებულოში, სადაც ერთმანეთს თავპირი „ევროპული საქართველოს“ და ნაციონალური მოძრაობის წევრებმა დაამტკიცეს.

მომხდართან დაკავშირებით ზუგდიდის პოლიციამ გამოძიება დაიწყო. ქალაქის პოლიციის სამმართველოში საკრებულოს თავმჯდომარე, აპარატის უფროსი და რამდენიმე დეპუტატი დაკითხეს.

ინტერპრესნიუსის ცნობით, ჩვენმა მისცა კონფლიქტის ერთ-ერთმა მონაწილემ, ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრმა დათა შელიამ.

— თითქმის ორი საათის განმავლობაში ვიკითხებოდი, თუმცა ამ ეტაპზე თავს შევიკავებ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენების შინაარსის მოყოლისგან, დაველოდოთ გამოძიებას, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ დათა შელიამ.

გამოკითხვებზე დაბარებული იყო დათა შელიას მოგვარე და მოჩხუბარი ბათლომ შელიაც. თუმცა მან ჩვენების მიცემა ვერ მოახერხა.

როგორც მან ფურნალისტებს განუცხადა, თავს შეუძლოდ გრძობდა და ამიტომ ვერ მივიდა დაკითხვაზე.

ზუგდიდის საკრებულოში სისხლისღერა ახალი ფრაქციის შექმნის გამო დაიწყო. ფრაქციის შექმნა „ევროპულმა საქართველომ“ მოითხოვა.

ამაზე ნაციონალმა განაცხადეს, რომ კარგი იქნებოდა თუ ისინი პოლიტიკური მეტაფიზის ფრაქციას შექმნიდნენ. ჩხუბი სწორედ ამ განაცხადების შემდეგ დაიწყო.

ახალი თაობა

დამფუძნებლები: ნინო ბაჭყალიძე, ზურაბ ბერიძე, სოხო გოგინაშვილი
 მთავარი რედაქტორი — სოხო გოგინაშვილი
 რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
 რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

განთი
 გამოდის
 1993 წლის
 23 ივლისიდან

კონსულტანტები
 ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
 სავინანხო სამსახური — ჯორა ბაღვაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
 გაფრთხილების სამსახური — მერაბ ლევინაშვილი
 დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკავალდება — ინგა დვალისვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქიქოშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
 ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
 ვებ-გვერდი www.akhalitoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
 რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგისტრირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე განთავსების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიებში გამოქვეყნებული მასალების სინუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

24 მარტისთვის	აშშ დოლარი — 2.432	ევრო — 2.986
ინგლისური გირვანკა სტერლინგი — 3.4213	100 რუსული რუბლი — 4.2302	



20 მარტიდან საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

საქართველოს მეფეთა ისტორია

იემოხი

ახალ ბინაში გადასული ცოლი ქმარს ეკითხება: — ნეტა აქ როგორი სმენადობაა? — შესანიშნავი, — უპასუხა კედლის მეორე მხარეს მყოფმა მეზობელმა.

●●●

მასწავლებელი გიგის სახლში მივიდა და მის მამას ეუბნება: — თქვენი შვილი საშინლად უზრდელია. — რა გააკეთა ასეთი? — გაკეთილზე შენიშვნა მივეცი, მან კი მიპასუხა, რომ მისმარდა.

22 მარტიდან 180 ამბავი ილია ჭავჭავაძე

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

27 მარტიდან ავთანდილ ბუხრაშვილი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

— ახლავე ყველაფერს გავარკვევ, — უპასუხა გიგის მამამ, ფანჯრიდან ეზოში გადაიხედა და შვილს დაუძახა: — გიგი, შენ და მასწავლებელმა იჩხუბეთ? — ჰო. — დაპირდი, გისმარო? — ჰო. — მერე, რას დამდგარხარ ქუჩაში, სახლში ამოდი, მასწავლებელი უკვე აქ არის!

●●●

სამი ტყუილი, რომელსაც თქვენს სიცოცხლეში მოისმენთ: 1. მე შენ მიყვარხარ. 2. ჩვენ სამუდამოდ ერთად ვიქნებით. 3. მომავალში ალგებრა აუცილებლად დაგჭირდება.

●●●

მამა შვილს ეუბნება: — შე და დედაშენი ორი დღით სოფელში მივდივართ ნათესავებთან და სახლი შენს განკარგულებაში რჩება... შეგიძლია, მეძაგები არ გამოიძახო მამონ, როდესაც მე გელაპარაკები?!

29 მარტიდან 130 ამბავი ლუდი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

13 მარტიდან ავთანდილ ბუხრაშვილი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

პაციენტი ექიმს ეუბნება: — ექიმო, ფეხი ორ ადგილას მოვიტეხე! — ის ადგილები გახსოვს? — რა თქმა უნდა! — ჰოდა, იქ აღარ გაიაროთ.

●●●

გემი იძირება! პანიკა! კაპიტანი ნერვიულობისგან თავზე თმებს იგლეჯს, ბოცმანი კი ჯიბეებში ხელეჩანაწყოები მშვიდად დადის წინ და უკან. ამ დროს მასთან მუხლგაურმა მიიჩინა და ეუბნება: — გემი იძირება, კაპიტანმა თავზე მთელი თმები სულ ღერა-ღერა დაიგლიჯა, თქვენ კი მშვიდად ხართ და ჯიბეებში ხელეჩანაწყოები დადიხართ!!! — მომისმინე, შვილო, რა მნიშვნელობა აქვს, რომელ ადგილას დაიგლიჯავ თმებს?! — **მოაშხადა კანა ნატიაშვილმა**



საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა ტაჭუნაშვილის ოჯახს მიუსამძიარა

საქართველოს ნაკრების წევრები სოფელ წილკანში იმყოფებოდნენ, სადაც მათ არჩილ ტაჭუნაშვილის ოჯახს მიუსამძიარეს. ფეხბურთელებს შორის იყვნენ გურამ კაშია, ჯაბა კანკავა და ბევრი სხვა. შეგახსენებთ, რომ არჩილ ტაჭუნაშვილი ოკუპირებული ცხინვალის ტერიტორიაზე წამებით მოკლეს და ცხედარი მის ოჯახს რამდენიმე დღის წინ დაუბრუნდა. საქართველოს ნაკრების გარდა, ტაჭუნაშვილის ოჯახს თბილისის დინამოს ფეხბურთელებიც მიუსამძიარეს.

15 მარტიდან 100 ამბავი მსოფლიო მონარქები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

მეცნიერები ორი მკვლელი ვეშაპის მიერ დელფინზე თავდასხმის თვითმხილველები გახდნენ

მეცნიერებმა, რომლებიც აფრიკის სანაპიროსთან მუშაობდნენ, ვიდეოზე გადაიღეს მკვლელი ვეშაპების დელფინზე თავდასხმის შემთხვევა. მკვლელებმა მკვლელი ვეშაპების წყვილი იმ დროს შენიშნეს, როდესაც ნავთობის ზღვაში ჩაღვრის შედეგებს სწავლობდნენ, რომელიც ნაბიბის მახლობლად მოხდა. — წყლის ზედაპირზე გამოჩნდა დიდი მკვლელი ვეშაპი და აღმოჩნდა, რომ მას პირით მოზრდილი ჰვეისაიდის დელფინი ეჭირა, — განაცხადა ბიოლოგმა საიმონ ელვენმა, — აშკარა იყო, რომ დელფინი სისხლისგან იცლებოდა, თუმცა ორთაბრძოლა აღარ ყოფილა. ამის შემდეგ მკვლელი ვეშაპები ნადავლთან ერთად წყალქვეშ გაუჩინარდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ნაპირზე ნახეს გამორიყული მკვდარი დელფინი, რომელსაც შიგნულში და ცხიმის დიდი ნაწილი შეჭმული ჰქონდა. ელვენის თქმით, თავისი 20-წლიანი კარიერის განმავლობაში სხეულზე ასეთი მნიშვნელოვანი დაზიანებები არასოდეს შეხვედრია. ის ვარაუდობს, რომ ეს სწორედ ის დელფინია, რომელსაც თავს მკვლელი ვეშაპები დაესხნენ.

კანა ნატიაშვილი

მანჩესტერ იუნაიტედს რაფაელ პარანის ყიღვა სურს

მანჩესტერ იუნაიტედი ზაფხულში მადრიდის რეალის ცენტრალური მცველის რაფაელ ვარანის შექნას აპირებს. ვარანი მანჩესტერელებისთვის ნომერ პირველი სამიზნე იქნება და ისინი ყველაფერს გააკეთებენ ამ ტრანსფერის განსახორციელებლად. მანჩესტერი მზად არის, 60 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ სავარაუდოდ რეალი ამ თანხას არ დათანხმდება, ამიტომ ინგლისელებს ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუწევთ. თვითონ რაფაელ ვარანს ამ თემასთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

მოაშხადა ბექა გოგინაშვილმა

ახოსვოხი ა

შეფულა: 1. მოყვარული მოტოციკლისტი; 2. ხელოვნური წყალსაცავი მცხეთა-მთიანეთში; 3. თურქეთისა და საბერძნეთის სანაპიროებს შორის მდებარე ზღვა; 4. მდინარე ბერლინში; 5. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 7. დედაშინის მანათობელი; 11. საფრანგეთში წარმოშობილი არქიტექტურულ-დეკორატიული სტილი; 15. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეფი ძველი თბილისში; 16. ქართული ხალხური ზღაპარი; 17. ზღვისპირა კურორტი საქართველოში; 18. ქართული კინორეჟისორი; 20. ანტონიო გაუდის მიერ დაპროექტებული პარკი ბარსელონაში; 22. მოკრივეთა, რაგბისტთა კბილების დამცავი რეზინის რგოლი.

თარაზულა: 6. ჯარების საზეიმო დარბაზი; 8. ექიმის სპეციალობა; 9. ტვირთბრუნვის ყველაზე დიდი ნავსადგური ბულგარეთში; 10. განცალკევებული საკანი ციხეში პატიმართა მკაცრად დასჯისთვის; 12. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 13. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. დაქირავებული ტაშის დამკვეთი თეატრში, კონცერტზე; 19. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 21. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 23. ფინეთის პარლამენტი; 24. ტერფზე ამოსაკრავი ალიპინის ტაა ალიპინის ტაა ლითონის კბილებიანი სამაგრი; 25. ტვინში სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დარღვევა; 26. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა